№ 212

კვირა, 30 სექტემბერი, 1901 წ.

ГАЗЕТИ ДИРА:

	ან.	კ.		თვე		მან.	კ.
32.	10	—		6		6	—
12.	9	50		5		5	50
11.	8	75		4		4	75
10.	8	—		3		3	50
9.	7	25		2		2	75
8.	6	50		1		1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 227

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

1877—1901

№ 212

კვირა, 30 სექტემბერი, 1901 წ

რედაქცია
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲮᲚᲘ № 21.
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს. 3-ს ოქტომბერს.

სამშაბათს, 2 ოქტომბერს, კაცხის მონასტერში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ᲙᲜᲯ. ᲐᲜᲔᲢᲐ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ

სულის მოსახსენებლად, რასაც მშობელნი მისნი **ᲙᲜ. ᲢᲐᲡᲝ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔᲜᲘ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა თვისთა. წირვა დილის 10 საათზედ დაიწყება.
(1—809—1)

26 ენკენისთვეს უეცრად გარდაიცვალა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ-ᲫᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები განსვენებულისა. პანაშვიდები—ყოველ დღე საღამოს 8 საათზედ. გასვენება მიცვალებულისა—კვირას, 30 ენკენისთვეს, დილის 9 ½ საათზედ დიდუბის ეკკლესიაში. (მიხეილის პროსპექტი სახლი № 180). 3—212—3

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲥᲣᲩᲐ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, სახლი ᲐᲒᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, № 21 (ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ).

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

Ვ. Ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

Დ. Გ. ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

Ვ. Ა. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

Ი. Ჯ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

Ა. Მ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ—თვალის, 10—11 საათ.

ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲥᲐᲚᲘ Მ. Ს. ᲒᲐᲫᲠᲐᲫᲔ ბავშვებისა—11—12 ს.

Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

Ა. Გ. ᲒᲐᲠᲡᲣᲫᲝᲕᲘ — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

Ვ. Ლ. ᲛᲐᲠᲙᲔᲕᲘᲩᲘ.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

Ი. Დ. ᲒᲔᲒᲗᲐᲒᲔᲒᲝᲕᲘ. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Ი. Ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ:

Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ᲒᲣᲜᲐᲚᲢᲔᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲢᲝᲠᲝ ᲪᲝᲓᲜᲐᲗᲐ

ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ
(წელიწადი მეორე)

ორისავე სქესის წერა-კითხვის მცოდნეთათვის და პრაქტიკული კურსები **ᲜᲔᲛᲔᲪᲣᲠᲘᲡ ᲔᲜᲘᲡᲐ** მოზრდილთათვის.

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში (ჩუღურეთი, საკუთ. სახლი), ყოველ დღე 9—2 საათამდე, კვირაობით 12—2 საათამდე.
(10—ნ.—6)

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲝ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ

უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ სადღესასწაულო სხდომაზედ, რომელიც კვირას, 30 სექტემბერს, მოხდება საღამოს 7½ საათზედ, საზოგადოების სადგომში, საზოგადოების ოცდა-ათის წლის არსებობის გამო.
(2—ნ.—2)

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲒᲘᲡ

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **ᲡᲐᲥᲔᲠᲐᲕᲘ**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას ᲩᲐᲪᲕᲚᲔᲑᲖᲔᲓ ამოჭკერავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა, № 12.
(10—უ—8)

პირველი კერძო სამკურნალო

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

Ე. Მ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

Კ. Ი. ᲒᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

Ა. Პ. ᲥᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲚᲝᲑᲘᲗ:

Ნ. Ნ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲫᲔᲙᲝᲕᲘ. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

Ა. Ნ. ᲨᲐᲠᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

Გ. Ა. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

Ს. Ტ. ᲐᲠᲕᲐᲜᲘᲢᲐᲙᲘ. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 ს. რჩევა-დაოიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ
(ᲙᲣᲙᲘᲐᲨᲘ, ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

Ე. Მ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

Კ. Ი. ᲒᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

Ა. Პ. ᲥᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲚᲝᲑᲘᲗ:

Ნ. Ნ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲫᲔᲙᲝᲕᲘ. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

Ა. Ნ. ᲨᲐᲠᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

Გ. Ა. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

Ს. Ტ. ᲐᲠᲕᲐᲜᲘᲢᲐᲙᲘ. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 ს. რჩევა-დაოიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲓᲦᲔᲜᲘ.

28 სექტემბერი.

გუშინ წინ, 28 სექტემბერს, დასრულდა საიუბილეო დღესასწაულები. დილით ტფილისის საკრებულოს დარბაზში ქ. ტფილისმა გაუმართა საუზმე უავგუსტოეს სტუმართ; საუზმეზედ მიწვეული იყო სულ 800 კაცამდე. მიწვეულნი შუადღის 12 საათისათვის უკვე შეიკრიბნენ. 12½ სათზედ „ურას“ ძახილით მიეგებნენ უავგუსტოესს სტუმრებს. საუზმეზე მრავალი სადღეგრძელოები წარმოითქვა უმაღლეს პირებისა, ქალაქის წარმომადგენელებისა, მცხოვრებთა და სხვ. საუზმე 2 საათზედ დასრულდა და უავგუსტოესნი სტუმარნი სასახლეში ნაშუადღევის 3½ საათზედ წაბრძანდნენ. ხალხი ნაშუადღევის 4 საათზედ დაიშალა.

საღამოს 9 საათზედ ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობამ „ტფილისის კრუჟოკის“ საზაფხულო სადგომში, ვერის ხიდთან, მტკვრის პირზე, გამართა ჩაი. ჩაიზედ მიწვეული იყვნენ თავად-აზნაურობა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელნი. ცხრა საათზედ „კრუჟოკში“ მობრძანდნენ მისი უდიდებულესობა საბერძნეთის დედოფალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და სხვა უავგუსტოესნი სტუმარნი. კრუჟოკის შესავალთან მათ მიეგებნენ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი. ხალხი „ურას“ ძახილით დაუხვდა. კარგს სურათს წარმოადგენდა „კრუჟოკის“ ბაღი, ელექტრონით განათებული და ფარნებით აჭრელებული. განათებული იყო აგრეთვე მტკვრის ნაპირას გაღმა მოედანი, სადაც მრავალს ხალხს მოეყარა თავი და გაემართათ სიმღერა და ცეკვა-თამაში. ირგვლივ გორები გაჩირაღდნებული იყო. 9 საათსა და 20 წუთზედ ვერის ხიდის ზემოდგან მომავალი ბენგალის ცეცხლითა და ფანრებით განათებული ორი ტივი გამოჩნდა, რომელზედაც საერო ტანისამოსში გამოწყობილთ ქართველებს გაემართათ ქორწილი. როდესაც ტივები ჩამოსცილდნენ ცოტაოდნად ვერის ხიდს, შეჩერდნენ და გამართეს ლეკური. პირველად ათამაშეს ნეფე-დედოფალი. ამავე დროს სატივედგან შუშხუნები აუშვეს. „კრუჟოკიდგან“ ამ სურათს გადაჰყურებდნენ მოწვეულნი სტუმარნი. შუშხუნების შემდეგ ბაღში სიმღერები გაიმართა. მღეროდნენ ბ-ნი ქორიძისა, კარგარეთელ-კავსაძის და გურული ხოროები. სიმღერებს რიგრიგად ამბობდა თვითეული ხორო. უავგუსტოეს სტუმრებს მოეწონათ გურულების ფერხული. ბაღში უკრავდა აგრეთვე სამხედრო მუსიკა. უმთავრეს ფარდულში გაიმართა აგრეთვე ლეკური, კინტოური და შემდეგ ევროპიული ცეკვა-თამაშიც.

11 საათზედ უავგუსტოესნი სტუმარნი გამოემშვიდობნენ დამსწრე საზოგადოებას და წაბრძანდნენ რკინის გზის სადგურზე, საიდგანაც საგანგებო მატარებლებით საბერძნეთის დედოფალი შვილებითურთ ბათუმს წაბრძანდა, ხოლო დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და სხვა უავგუსტოესნი პირნი ბორჯომშივე დაბრუნდნენ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** განსვენებულის გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის გვამს დღეს, 30 სექტემბერს, გაასვენებენ დილის 9½ საათზედ საკუთარი სახლიდგან (მიხეილის ქ. № 180) დიდუბის ღვთის მშობლის ეკკლესიაში.

*** დღეს, 30 სექტემბერს, საღამოს 7½ საათზედ, დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ორმოცდაათის წლის არსებობის საიუბილეო სადღესასწაულო კრება. კრებაზედ, სხვათა შორის, წაკითხული იქმნება ანგარიში საზოგადოების მოღვაწეობისა ამ ორმოცდაათის წლის განმავლობაში.

*** კავკასიის მკურნალთა მეორე კრების სხდომები დღეს, 30 სექტემბერს, დაიწყება.

*** როგორც შევიტყეთ, საქართველოს საეკლესიოს სამრევლო-საეკკლესიო სკოლების უფროს მეთვალყურედ დანიშნიათ დეკანოზი ვოსტორგოვი (სემინარიელი), რომელსაც ამიერიდგან უნდა ექვემდებარებოდნენ, როგორც უფროსს, გურია-სამეგრელოს სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მეთვალყურე თ. ჟორდანია (აკადემიელი) და იმერეთისა—მღ. მელიტონ კელენჯერიძე (აკადემიელივე) და სხ.

*** როგორც ხმა დადის, სამხედრო უწყებას განზრახვა თურმე აქვს პოდპოლკოვნიკის ხარისხი სრულიად მოჰსპოს და დამსახურებულთ კაპიტნობიდგან პირდაპირ პოლკოვნიკის ხარისხი მიეცეთ ხოლმე.

*** 21 და 23 ოქტომბერს ორგზობად ტფილისში ჩამოვა 120 მოსწავლე ქუთაისის რეალურ სასწავლებლისა, რომ კავკასიის გამოფენა დაათვალიერონ.

*** მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს განზრახვა თურმე აქვს, სუხუმსა, ოზურგეთსა და ლაგოდეხს გარდა, კიდევ რამდენსამე სხვა ადგილას გააშენოს კავკასიაში თამბა-

ქოს პლანტაციები, სადაც-კი, რასაკვირველია, ადგილობრივი ჰავა ამის ნებას მისცემს.

*** ტფილისსა და მცხეთას ᲬᲝᲠᲘᲡ ᲝᲠᲡ დღეს, 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს, მცხეთის დღესასწაულობისა გამო, სახალხო მატარებლები განსაკუთრებულის წესით ივლიან.

*** სატყეო დეპარტამენტს განზრახვა თურმე აქვს ბაქოს გუბერნიაში ტყეები მოაშენოს.

*** გზათა სამინისტროს საზოგადო წესდება შეუდგენია იმის შესახებ, თუ რკინის გზის მსახურნი როგორ და რა რიგად უნდა იქმნენ ხოლმე დასჯილნი.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა გუშინ განიხილა საქმე გიგო მასიღაშვილისა ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ გარდაწყეტილება, რომლითაც მასიღაშვილს მიესჯა განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. მასიღაშვილს ბრალად ედებოდა კაცის მოკვლა.

*** ტფილისის საბჭოს სხდომა ხვალ, 1 ოქტომბერს, უქმის გამო არ შესდგება და 8 ოქტომბრისათვის გადაიდება.

დამაკვირდი.

არავინ, მეგობრებო, მეგობარი არ არის!

(არისტოტელი)

***

ვინც ყველას მეგობარია, იგი არავის მეგობარია.

(ბარტელემი)

***

იკი ჰკარგავს თავისს სიცოცხლეს, ვისაც სიკვდილისა ეშინიან.

(სეუმი)

რაჭის ეკკლესიების მიმოხილვა იმერეთის ეპისკოპოზის ყოვლად-საღვდელო ლეონიდის მიერ.

სვანეთისა და ლეჩხუმის მიმოხილვის შემდეგ, ხუთს აგვისტოს ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი რაჭაში მობრძანდა. პირველად მათმა მეუფებამ ინახულა პირველი ტოლის ეკკლესია, ნახა ახალი ეკკლესიის შენობა, რომელიც მხოლოდ სამს არშინზე ამოყვანილია, და მეტად მოხარული დარჩა. ამ გარემოებამ დაანახვა მათს მეუფებას, რომ ტოლელებს ჰქონიათ მტკიცე სარწმუნოება, რომლის შესაფერადაც ახალს გეგმაზედ მშვენიერს ტაძარს იშენებენ. ყოვლად-სამღვდელომ დალოცა და აკურთხა იგინი.

ექვსს აგვისტოს, ფერისცვალებას, მათი მეუფება მეორე ტოლას მიბრძანდა, სადაც მწირველი ბრძანდებოდა ჩვენის პატივცემულ თავ. ქაიხოსრო ყიფიანისა. ამავე დღეს საღამოს ინახულა ხვანჭკარის წმ. გიორგის ეკკლესია, სადაც ბევრი ხალხი დახვდა მათს მეუფებასა. ყოვლად-სამღვდელომ ხალხის წინაშე გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც ამცნო ხალხს, თუ რა მომაკვდინებელი და დამღუპველი ცოდვაა შური, მტრობა და დაბეზღება ერთმანეთისა. ხალხი მეტად აღტაცებული იყო ახალი მღვდელმთავრის ხილვითა. გადასცა რა ლოცვა-კურთხევა ხალხს, მათი მეუფება თ. ქაიხოსრო ყიფიანისას წაბრძანდა, რომელმაც იგი ღამის გასათევად მიიწვია. გულუხვმა მასპინძელმა ხშირი საუბრით მოკლედ გააცნო მათს მეუფებას რაჭის საზოგადოება. საუზმეზედ ასტყდა ბაასი სხვა-და-სხვა საყურადღებო საგნების შესახებ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი თ. ქაიხოსრო გელოვანი, თ. ლუარსაბ ყიფიანი, რევიზორი დეკ. ნესტორ ყუბანეიშვილი და რამდენიმე მღვდელი რაჭისა. ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა ქართული ტერმინოლოგიის შესახებ აღძრა ლაპარაკი და გვამცნო თავისი მოსაზრება იმ უცხო ტერმინების შესახებ, რომლებიც ჩვენში იხმარებიან და მათი შესაფერი ქართული სახელი ვერ გვიშოვნია. საზოგადოდ, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი უსარგებლოდ ერთ საათსაც არა ჰკარგავს. მათი აზრია, ჰმოქმედებს თუ საუბრობს, რაიმე სასარგებლო საქმე გააკეთოს; ამ ნაირად თავისი მიბრძანებით სკოლას ჰქმნის ყველგან.

ამისდა მიხედვით თავისი სადგომიც შესაფერად აქვს მოწყობილი ქ. ქუთაისში. შეხვალთ თუ არა მისაღებს ოთახში, თვალწინ დაგხვდებათ ფართე რგვალი მაგიდა, რომელზედაც ყოველ-დღიური და ყოველ-თვიური დროგამოშვებითი გამოცემები აწყვია, რომ, რადგანაც მათს მეუფებას ბევრი მთხოვნელი ჰყავს, ერთთან საუბრის დროს მეორემ იკითხოს და დრო უსარგებლოდ არ დაჰკარგოს.

მეორე დღეს მათი მეუფება რიონის მარჯვენა მხარეს მდებარე ეკკლესიების დასათვალიერებლად წაბრძანდა. უკან დაბრუნებისას მათი მეუფება რიონის მარცხენა მხარეს დაჰყვა.

არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ სოფ. ხონტიორას, სადაც ყოვლად-სამღვდელომ ნამდვილ მოციქულისებური სიტყვით დაამშვიდა დღემდე ორ დასად გაყოფილი მოწინააღმდეგე მრევლი. ს. ხონტიორში დიდი ხანია არსებობს ორი ეკკლესია, რის გამოც მრევლი ერთმანეთს ეცილებოდა: არა ჩემი ეკკლესია უნდა გაშტატდეს, არა ჩემიო. ვერ იქნა, ამ ბრძოლას ბოლო ვერ მოეღო და დიდი უსიამოვნობაც გამოიწვია არამც თუ ადგილობრივი მღვდლის შესახებ, რომელზედაც მუდმივი საჩივრები იყო ატეხილი, არამედ თვით ნეტარხსენებული გაბრიელის შესახებაც, რომლის ღვთაებრივს სიტყვას არ დაემორჩილნენ და უზრდელის სიტყვით შეუტიეს ერთხელ. ყოვლად-სამღვდელო ლეონიდს ყოველივე ეს ადრევე გაგებული ჰქონდა და ამიტომ არ ისურვა მიბრძანება ს. ხონტიორაში. მაგრამ შემდეგ დაფიქრდა და 27 აგვისტოს მათი მეუფება ხსენებულს სოფელში წაბრძანდა საწირავად. წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო, კაცი და ქალი. სამოციქულოც შესაფერის შინაარსისა შეჰხვდა ამ დღეს. აი სამოციქულოს სიტყვები: „ხოლო ნაყოფი სულისა არს სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება“. ამისდამიხედვით ყოვლად-სამღვდელომ სიტყვის დასაწყისში ღვთის განგებას მიაწერა ის გარემოება, რომ ამ დღეს ასე არეულს მრევლში მობრძანდა საწირველად. მერმედ განაგრძო სიტყვა და სამოციქულოს თვითოეული სიტყვა სამაგალითო მჭევრმეტყველებითა და გრძნობით აუხსნა ხალხსა. დაკვირვებული მსმენელი უთუოდ შეამჩნევდა, რომ ყოვლად-სამღვდელოს ერთად-ერთი აზრი იყო სამუდამოდ მშვიდობის დამყარება ამ სოფელში. ღვთის წყალობით შესრულდა მღვდელ-მთავრის აზრი და მრევლმა ერთხმად შეჰფიცა მათს მეუფებას, რომ ამიერიდგან მყუდროდ და მშვიდობით იცხოვრებენ და არ შეაწუხებენ არც მღვდელსა და არც უმაღლეს მთავრობას.

ოცდაცხრა აგვისტოს მათი მეუფება ს. მიქარწმინდაში იქმნა მიწვეული საწირველად. წირვის დროს გალობდნენ არქიელის მგალობელნი და ადგილობრივი სამრევლო სკოლის მოსწავლე ქალნი და ვაჟნი. წირვაზედ მათმა მეუფებამ სამაგალითო გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა შემდეგის ტექსტით: „ზე გვაქვდინ გულნი,“ და მართლაც შეეფერებოდა ასეთი ტექსტი იოანე ნათლის მცემლის თავის კვეთის დღეს. სიტყვაში ყოვლად-სამღვდელომ ის აზრი გაატარა, რომ დიდი ტანჯვა, დევნა, წვალება და უსამართლობა შეჰხვდება ცხოვრებაში ყოველს სიმართლის მქადაგებელს, მაგრამ ყოველივე ეს სულგრძელობით უნდა მოითმინოს და მართლმოყვარეობით გამსჭვალულ საუკეთესო მსოფლიოსკენ ჰქონდეს მიმართული გული და გონება.

ოცდა ათს აგვისტოს მათი მეუფება მღ. ნესტორ გვენცაძემ მიიპატიჟა ს. ბარეულში საწირველად.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲡ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ

(სურათი)

(დასასრული *)

II

მეორე სოფელში წყალი მომწყურდა. გზის პირას, ერთ უზარმაზარ კაკლის ჩრდილში წყალი გამოვატანინე ნიტრით პატარა ბიჭიკოს, რომელიც იქვე კოჭაობის თამაშობდა ტოლ-ამხანაგებში. ის იყო კიდეც შუა სოფლის შარა-გზაზედ მრავალი ხალხი გამოჩნდა, პირდაპირ მომავალი. ფაცი-ფუცით მორბოდნენ სახლებიდამ კაცები, დედაკაცები, გოგო-ბიჭები და შეთონთქოლებული ხალხი სწრაფად იზდებოდა მთის წვერიდამ დაგორებულ თოვლის გუნდასავით. ხალხი ერთი ქოხის ეზოს ხრიხალ-წინ შეგუბდა, მეც მიველ და ვნახე: ჩალა-დაგებულ ერთ-ცხენიან ტაჭკაზე ფარაჯა-გადაფარებული მიცვალებული ესვენა.

— ჩამქოლეეეთ!.. — საშინლად დაიწივლა ხრიხალთან გულ-ხეთქებით მოვარდნილმა მანდილოსანმა, თავზარ-დაცემულს ელდის ჟრიამულმა ფეხებამდის გაურბინა ელვასავით, თვალთ დაუბნელდა, მეხდაცემულივით წატორტმანდა და უგრძნობლად დაეცა მიწაზე.

— წყალი! წყალი! წყალი!—ყვიროდნენ გულ-წასულის გარშემოხვეულნი.

— ოოვე! ოოვაჰ! საწყალი ფრიდონი! სად მომკვდარა, კაცებო?— იკითხა ყავარჯენზე დაბჯენილმა ბერიკაცმა.

— ჩვენ კალოებზე.

— იქ რას აკეთებდა?

— გალმა ლეკში ყოფილა სამუშაოზე, ი ვერანა დამპალ წყლებს დაუცდია და ნაავანტყოფარი, ჯანმოწყვეტილი კაცი ხელმეორეთ დაცემულა. ლეკებს ყარფუზის ურემზე დაუსვამთ სამადლოთ, და ჩვენ კალოებზე რო მოსულან გუშინ საღამოს, ძრიან შაწუხებულა და გარიჯრაჟისას სული დაულევნია საცოდავს უპატრონოთ, უზიარებლათ.

— ჰაი, წაშავდეს და ნუღა მოშავდეს და მობნელდეს ეგეთი წყეულ-კრული წელიწადი, როგორც ამან უმოსავლოების გამო ოთხსავკუთხივ სამუშაოზე გადახვეწილი ხალხიც გაგვინახევრა და ქვეყანა დაღუპა და აატირა ამ ბალთამანმა!

— ვაიმე, მამავ! მამااავ!.. ვაიმე, მამილო! სენი წილიმე, მამავ! მამااავ! მამილოოო!.. შენი ნამტკივნი გულის ჭირიმე, მამااავ!—გულდამდაგად ტიროდნენ და დაჟინებით მოსთქვამდნენ ამ სიტყვებს მიცვალებულის ფეხ-შიშველა, სილარიბის დაფასკულ კონკ-მანკებში გახვეული პატარა გოგო-ბიჭები, თავიანთ გულ-შემოყრილ, უბედურ დედის მახლობლად და ღაპა-ღუპით გადმოსდიოდათ შავი-ჟუჟუნა თვალებიდამ მზის სხივებზედ აბჭყვრიალებული მდუღარე ცრემლები.

მთელი ხალხი გულ-მდუღარედ ქვითინებდა და იმდუღრებოდა იმათი სიბრალულით და თვით უგრძნობელი ქვაც კი ტიროდა და ცრემლია ნაგუბრათ იღვრებოდა და ითქვრებოდა.

— ოჰ! თვალო, ნუ დაინახამ და, ყურო, ნუ გაიგონეფ ამათ საცოდაობას!—წარმოსთქვა თვალ-ცრემლიანმა და ამ თქმის უმალვე გაბრუნდა კრიკალივით წელში მოღუნული, ტყავ-ქუდა ბერიკაცი, რომელიც ყავარჯენზედ დაბჯენილი ძლივს მიიკაკვებოდა დაფასკულ-დაბრანძულ ფარაჯაში გახვეული და თან ცრემლთა დენით მელაპარაკებოდა თავის თავს გულ-ამომჯდარის ხმით:

— ღმერთო! ცისა და ქვეყნის გამჩენო უფალო! შენ დამიბრუნე შვიდობით ჩემი საწყალი ოჯახის დედა-ბურჯი ნიკოლა, შენ იყავ იმისი მცველ-მფარველი ყველგან და ყველაში, ნუ გამაჭლევ იმი სახელს, როგორც პურ-მარილის სახელი არ გამაიღევა ქვეყანაზე, და ნურაში გაჰხდი მტრის გულისათ, შენი მადლისა და სახელის ჭირიმე! შენი გულის ჭირიმე, ჩემო შემნახავ-დამმარხაო, შვილო ნიკოლავ! შენი ამბავი აღარა გაგვიგია-რა, ყველანი შენი გზისაყენ ვიყურებით და ვიმდუღრებით. შენი პატარა, მარწყვი კონასავით დახატული გიო და ილა მალ-მალე მკითხამენ-ყე: პაპავ, მამა ლოდის მოვაო. ი საცოდავი დედა შენი კიდე თავს იკლამს ამ დღეთა და ამ ღამეთ: აიქ არსად მიეძინოს მუშაობისაგან დაღალულ-დაწყვეტილს და ი ქვეყნი ცოდვით სავსე პარახოტმა არ გასრისოს ანაჰდეულათო. ვაიმე, ვაიმე! უწინამც დღე ვაგვიქრეს სუყველას, შვილო! ჩვენო ტკბილო იმედო და ნუგეშო! შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე და შენ გეთაყვანე, შვილო ნიკოლავ! ამაჰ-წინათ რო შენი წიენი მოგვივიდა, ყველანი ცათა ფრინველს მევეწივენით მეტი სიხარულით. ღმერთო, ღმერთო! ერთი კიდე თვალით დამანახვე ჩემი დახატული შვილი ნიკოლა, და მემრე კი ნანჩუყოლებლივ მოვკვდები და მოვისვენეფ საფლავში სულითაც და ხორცითაც ძალზე დატანჯული უსულ-ღმერთო ქვეყნისაგან.

ჭირის მოსახილებლად მოსულს გლეხის მანდილოსნებს (რომელთაც ზოგს პურის კიდობნისათვის კლიტე დაედვათ: „გოგო-ბიჭებმა წარამარა არ იჭამლონ კულანდებურათო“ და ზოგის ცარიელ ვარცლ-კიდობანში თაგვები აფხაკუნებდნენ) აქათ-იქიდამ პატარა ბალღები ეჭიდებოდნენ კაბის კალთებზე და დაჟინებით გაიძახოდნენ სლუკ-სლუკით:

— პული მსიან, ქა! დედილო, ქალილო! ლა ვქნა, ლა უკო, პული მსიან, კაცო, პული! ეი! აღ გეკულება? ბიწოს! დაკწკევლა გმელთმა, პული მსიან, ქა, პული, პული! ეიიმოს! ლით ველ გაიგე, სე ოძაქ-დაქცეულო!..

ზოგიერთი დედა ათასი საიმედო ტკბილი სიტყვებით აჩუმებდა თავისს „ვარდის კონას“ და ზოგი-კ გულ-გააფთრებული ტყაჭაურასავ უჭყიოდა ამ სიტყვებს:

— აქ შენი ჩასახეთქი და ჩასფხრეწი პური ვინ მამცა შარა-გზაგ შე ქაჯის შაქნილო და ჯოჯოხეთ გავარდნილო! ყბა მოძაღლე კრინტი გაიქრე, შე პირქვე-დასმარხო ღორ-მუცელავ, თორე ამაზ მეტი ყელში აღარ ჩადისო,—ბევრს სხვა ამისთანებს, და უფრო-ქმრებს ჭლანძღავდნენ: „რათ შაგ ნესო“.

მესამე სოფლის პირაღმართ საფქვით დატვირთულ ურემს წ მოვეწივე. უბალახობისაგან დაჯ დაგებულ ხარ-კამეჩს მეტად უჭირ დებოდათ აღმართში ურმის ატა და გულ-გაბრაზებული მეურმე უბრალებელის ჭყივილით უტყლ შუნებდა და უშლაპუნებდა კამ ჩებს ღვეტკეცივით მოქნილ რცხ ლის სახრეს და ხარებს—გძელ თასმიან შოლტს. ურემს უკან მი ზდევდი ნელის ნაბიჯით და ა დავცილდი, რადგანაც ვიცოდი, კეზე ასული მეურმე სხვა-და-სხ „ლესკებს“ ჩააღუღუნებდა ჰოროვ ლაში. ავიდა რის ვაი-ვაგლახით ურ ვაკეზე, შვება მიეცა ხარ-კამეჩს ახალგაზდა მეურმემ ცრემლ-სადენ დაიწყო ღუღუნი:

— იტირე, ქალო, მარიამ,
ცეცხლზე დაგსხმია წყალიო,
თათრის-სოფელში მამკვდარა
შენი სიმდიდრე-ქმარიო;

*) იხ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ № 202.

აქ მათს მეუფებას ხალხი შემოესია და სთხოვა დაებოლოებია ის დავა, რომელიც ბარეულელებსა და ღადიშლებს შორის არსებობს ეკლესიების გამო. მათმა მეუფებამ ამის შესახებ უბრძანა ხალხს, რომ ხსენებული საქმე სინოდში გასარჩევად გაგზავნილი და დაჰპირდა: „თუ მე მკითხეს რამე ამ საქმისა, ნურაფინ იფიქრებს, ვისიც მხარე დაიჭიროო“.

სადილს შემდეგ რაჭის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურემ მღ. სიმონ ჭელიძემ გამოსათხოვარი სიტყვა მოახსენა მათს მეუფებას, რომელშიაც მღვდელმთავრის სალმრთო მოღვაწეობა დაასურათა.

დამსწრე

დაბალ სოფელი

—

ს. **ავლევი** (გორის მაზრა). 16 სექტემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, აქ მობრძანდა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი და პირდა-პირ ახლად გახსნილ თავშესაფარ-აფთიაქისაკენ გაემართა, რომელიც ამ შემთხვევისათვის ბაირაღებით იყო მორთული. აქ მას დაუხვდნენ მაზრის მარშალი თავად-აზნაურობისა თ. გიორგი ალექსანდრესძე ბაგრატიონ-დავითიშვილი, თავად-აზნაურნი და ორი საზოგადოების, ოქონისა და ატოცის, ხალხი თავიანთის მამასახლისებით. გუბერნატორს თან მოჰყვნენ დამაარსებელნი ქსენონისა თავ. კონსტანტინე მიხეილის ძე ამირეჯიბი, მომრიგებელი შუამავალი, საგუბერნიო მკურნალი ბ-ნი ქიქოძე, მაზრის უფროსი ბ-ნი პავლოვი თავისის თანაშემწით და სხვა მოხელენი. ბ-მა გუბერნატორმა მოსვლისათანავე დაიარა ქსენონი, რომელიც, მკურნალის ოთახებს გარეშე, ცხრა ოთახიდგან შესდგება. საავადმყოფოში ამ დროს ერთი დედაკაცი იწვა, რომელსაც მოენის დახმარებით გამოელაპარაკა ბ-ნი გუბერნატორი. შემდეგ გარეთ მყოფი ხალხი ზალაში შემოვიდა, სადაც სამღვდელოებამ პარაკლისი გარდაიხადა. პარაკლისის გარდახდამდის ადგილობრივმა მღვდელმა მ. მიხეილ ნასარიძემ ქსენონის დაარსების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა და აუხსნა ხალხს, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან და ან რა ღვაწლი დასდვა ამ ქსენონს თავ. კონსტანტინე მიხეილის ძე ამირეჯიბმა. ლოცვის გათავების შემდეგ თვით ბ-მა გუბერნატორმა მიჰმართა ხალხს და მოენის პირით აუხსნა ყოველივე სარგებლობა ქსენონისა. შემდეგ დიდი მადლობა გარდაუხადა ამ კეთილის საქმის მოთავეს თავ. კონსტანტინე ამირეჯიბს, აგრეთვე თავათ-აზნაურთა წინამძღოლს თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილს, მაზრის უფროსს და ყველას, ვინც კი ქსენონის დაარსებაში მონაწილეობა მიიღო. შემდეგ თვით მარშალმა მიჰმართა გუბერნატორს და თავად-აზნაურობის მხრივ მადლობა გადაუხადა თანაგრძნობისა ჯ შემწეობის აღმოჩენისთვის. ბ-მა გუბერნატორმა ხელმეორედ დარიგება მისცა ყველას ჯ სადილად ყველანი კონსტანტინე ამირეჯიბთან მიბრძანდნენ.

გლეხ-კაცობისთვის სადილი თვით აფთიაქის ეზოში იყო მომზადებული. ამავე დღეს ნაშუადღევის 5 საათზედ ბ-ნი გუბერნატორი, საგუბერნიო მკურნალი, მომრიგებელი შუამავალი და მაზრის უფროსი ქალაქში დაბრუნდნენ. მღვდლის მიერ წარმოთქმულ სიტყვიდგან გამოირკვა, ორის თვის განმავლობაში აფთიაქს მიუღია და დაუკმაყოფილებია ათას ხუთასი ავადმყოფი, რაიცა მცირედ რიცხვად არ უნდა ჩაითვალოს. ეჭვი არ არის, ხალხს დიდი საჭიროება ჰქონია და თან შეგნება ქსენონის სარგებლობისა. ვისურვებთ ასეთი გულშემატკივრობა, როგორიც თავ. კონსტანტინე ამირეჯიბმა გამოიჩინა, სხვებსაც გამოეჩინოთ.

ქ-სია ფალ-ლი

უცხოეთი

—

ჩინეთი. ახლად გამოცემულის ედექტების გამო ჩინეთში რეფორმების შემოღების შესახებ, პრინცს ცუნს ერთის უცხოეთის მოხელისათვის უთქვამს, იმპერატრიცა და იმპერატორი იმ აზრისა არიან, რომ შეცვლილი უნდა იყოს სისტემა ჩინეთის მართვა-გამგეობისაო.

— აღმოსავლეთ აზიის სხვა-დასხვა ერთა გაზეთები ამბობენ, ჩინეთიდამ ევროპამ ტყუილად წაიყვანა ჯარები, მოკრივეები მალე ისევ მთავრობას ამოუდგებიან გვერდით და თავისი მოქმედებით აიძულებენ ევროპას ხელ-მეორეთ გამოგზავნოს ჯარი.

სამხრეთი აფრიკა. ამას წინად კიტჩენერი ტელეგრამით იუწყებოდა, მოდვილის მახლობლად, დელარეისა ჯ კეკეევიჩის შორის მომხდარს ბრძოლაში, ბურებმა 1,000 კაცი ჯკარგესო. იოჰანესბუგიდამ-კი ერთს ფრანგულს გაზეთს ატყობინებენ, ბურებმა ამ ბრძოლაში სულ 20-ამდე კაცი დაკარგეს, მათ შორის 10 ტყვეთ წაიყვანეს, 6 მოჯკლეს და რამდენიმე დაჭრესო. ეჭვს გარეშეა, რომ მართალი ეს უფრო უნდა იყოს.

— კაპის ახალშენის პირველი მინისტრი, გარდონ სპრიჯი, კიტჩენერთან და მილნერთან მოსალაპარაკებლად წასულა.

ოსმალეთი. გერმანიის ელჩი, ბარონი მარშალ ფონ-ბობერშტეინი, დაბრუნდა თუარა კონსტანტინოპოლში, მაშინვე სულთანმა მიიწვია თავისთან კერძო აუდიენციაზე. ამ გარემოებას კონსტანტინეპოლში დიდს მნიშვნელობას აძლევენ.

— უცხოეთის ელჩები კონსტანტინეპოლში კონფერენციის მოხდენას აპირებენ იმის შესახებ, რომ ევროპის სახელმწიფოები ერთად ჩაერიონ ოსმალეთის საქმეებში.

— მაკედონიის ახალს კომიტეტს შემდეგი პროგრამმა მეუმუშავებია: 1) დაარსება ფედერატიულის რესპუბლიკისა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს პროვინციებს: სალონიკს, მონასტირს, უსკიუბს და ადრიანოპოლს; 2) სრული დამოუკიდებლობა ამ რესპუბლიკისა ოსმალეთისაგან; 3) მაკედონიის რესპუბლიკას უნდა მართავდეს საკავშირო საბჭო, რომელიც ამორჩეულ წევრთაგან შესდგება; 4) რესპუბლიკის ყოველს ოლქს სრული ავტონომია ექნება ადგილობრივის საქმეების მართვაში; 5) რესპუბლიკას ეყოლება მხოლოდ მილიცია; 6) საყოველთაო ამომრჩევლობა, საყოველთაო ხმის მიცემა, საყოველთაო ხმის მიცემა (რეფერენდუმი), პროპორციონალური წარმომადგენლობა, პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე, ყრილობების თავისუფლება, თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა და მოქალაქეთა თანასწორობა; 7) ამორჩეული მოხელეები და 8) რესპუბლიკის პრეზიდენტი ამორჩეული უნდა იყოს პირდაპირის ხმის მიცემით 5-ის წლის ვადით.

შვეიცია. შვეიცის სოციალ-დემოკრატებმა ამ დღეებში ყველა პოლიტიკურს პარტიებს წინადადება მისცეს მოახდინონ მუშათა საყოველთაო გაფიცვა ამომრჩევლობის უფლების მოსაპოვებლად. სოციალ-დემოკრატები ამობენ, რომ ნორვეგიის და დანიის მუშებმა დახმარების აღმოჩენა აუთქვეს შვეიცის მუშებს და დაადგინეს, რომ თითო დღის მუშაობის ფასი გადასდონ მათ სასარგებლოდო. 1901 წლის 1-ს თებერვლამდე ყველა ორგანიზაციამ უნდა შეატყობინოს თავის აზრი გაფიცვის შესახებ. აქამდე გაფიცვას შვეიციაში მუდამ ერთი დაბრკოლება აფერხებდა ხოლმე—ფულის უქონლობა, და ძნელია, რომ საყოველთაო გაფიცვამ დიდხანს გასტანოს, რადგანაც ნორვეგიის და დანიის დახმარება ბევრს ვერაფერს უშველის. როგორც ყველგან, შვეიციაშიაც გაფიცვას მაშინ ექნება ძალა, როცა მუშები დიდს და მდიდარს ხაზინას გაიჩენენ.

ავსტრო-უნგრეთი. რამდენადაც გამოირკვა, ვენგრიის სეიმში დეპუტატების არჩევანების რეზულტატი შემდეგია: 397-ის კანდიდატიდამ მთავრობის პარტიისა ამორჩეულ

სათივის ძირში მიწოლილს
უთქვამ: „მიშველეთ, წყალიო“!
მაგრამ სამკალში ყოფილან
თათრის კაცი და ქალიო.
სად იყავ მაშინ, მარიამ,
არ ასვი ცრემლის ღვარიო
და არ წაართვი პირიდამ
სიკვდილს ის შენი ქმარიო,
ნაქები მუშა-ვაჟკაცი,
დევ-გმირთან დასადარიო!
იმისი ოფლით მორწყული
ქიზიყის მთა და ბარიო
ამობს: იესომ გაუხსნა
იმას სამოთხის კარიო
და უთხრა: მუშავ ღარიბო,
სამოთხე შენთვინ არიო,
შენს დამჩაგვრელს-კი დაჰბუგავს
გენია შესაზარიო!..

გაველ სოფლების ბოლოს და გავხედე ალაზნის თვალ-გადაუწვდომელ, მრავალს ახოვან ტრიალ მინდორს და ცას წვერ-მიბჯენილ ბუმბერაზ-მთებს დაღისტნისას, მაგრამ ვაი იმისთანა გახედვასაც, როდესაც სხვა დროს სიცოცხლით სავსე, მწვანე ხავერდის საამო ველ-მინდორი, დღეს ცეცხლ-წაკიდებული ვერანა უდაბნოს დაჰმგზავსებია საარაკო გვალვისაგან გადახრუკული და სიცოცხლის დამატკბობელი ნიშან-წყალი აღარას ატყვია კულანდებურად. ხანგრძლივ გვალვისაგან დაწლიოკებული და დახუწუწებული ყურძენი ღიჭნარიან ტყის კრიკინას მოგაგონებთ. დაჟიჟმატოვებული და დაჭიანებული ხილეულობა ცეცხლში ჩაყრილ სიმინდივით დახალებულა და დაკუტებულა. ურწყავ ადგილების ბალ-ბოსტნები საქუმლე ქერივით ატკრეცილა და მოშუშულა. შორით-შორამდე გაფენილ ბალახ-ბალახ-ბალახ-

იქმნა 249 და კომუტის პარტიისა 70. არჩევნების დროს მომხდარს არეულობაში 11 კაცი მომკვდარა. არეულობა უფრო იმ ადგილებში მოხდა, სადაც კლერიკალთა პარტიის აგიტატორებმა, პატრებმა გააფანატიკოსეს ხალხი. ლიბერალთა პარტიის დამაარსებელი, კოლომანტისსა—არჩეულ არ იქმნა გროსვალდეინში. ეს ლიბერალთა პარტიისათვის კაი ნიშანი არ არის.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

28 სექტემბერი.

პოლტავა. 27 სექტემბერს გუბერნატორის ბელგორდის თანადასწრებით გაიხსნა სხდომა საოჯახო მრეწველობის მოღვაწეთა და საოჯახო ნაწარმოების გამოფენა. სხდომები 10 დღე გაგრძელდება.

ბაქო. მესამე დღეა ცეცხლი უკიდია შიბაევის შადრევანს ბიბი-ებათის ნავთის მიწაზე. ნამდვილის ცნობებით, დამწვარია ორი „ვიშკა“, ერთი რეზერვუარი და ორი მიწური ამბარი შიბაევის ნავთით, სამი „ვიშკა“ და ამბარი „კასპიის და შავის ზღვის“ ამხანაგობისა და ერთი ვიშკა და ორი აუზი რუსეთის ბიბი-ეიბათის ნავთის საზოგადოებისა. ზარალი ასი ათას მანეთზე მეტია, შიბაევის შადრევანი რომ არ ვიანგარიშოთ.

ტიუმენი. „ციმბირის ვაჭრობის გაზეთი“ იუწყება, რომ ობის ჩასართავთან ნავთის ქარხნების მუშებს უპოვიათ მიწაში დიდის მამონტის ჩონჩხი, რომელსაც 5 საჟენი სიგძე აქვს და 3 სიგანე. ტყავი კარგად არის შენახული. ძვლების ერთი ნაწილი ტობოლსკში გადიტანეს და მუზეის შესწირეს. ის ადგილი, სადაც მამონტი იპოვნეს, აღნიშნულია.

პუატიე. გამასწორებელი სასამართლო არჩევს მონიეს საქმეს, რომელსაც თავის დისათვის თავისუფლების წართმევაში მონაწილეობის მიღების ბრალი ედება. მოწმები ახასიათებენ მონიეს, როგორც სუსტის ხასიათის კაცს, რომელიც თავის დედის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ბრალდებულის სიტყვით, იმას ეგონა, რომ იმის დას კარგად უვლიდნენ. ბრალმდებელი სასტიკს განაჩენს თხოულობს, ადვოკატი გამართლებას.

კონსტანტინეპოლი. შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს ქურთების მიერ მუშში სომხების განადგურების საქმე. ამბობენ, კომისია მიდგომით ჰსჯის საქმის ვითარებას ქურთების სასარგებლოდო. მთავრობამ გადასწყვიტა გადიყვანოს მუშში ბრიგადა. იქ ნამდვილად არავითარი უწესოება არ მომხდარა.

კაპუტადტი. მოვიდა ცნობა, რომ გუშინ სასტიკი ბრძოლა მოხდა მეიქსფერმამთან ბერგრიველის მახლობლად.

პეტერბურგი. ხარკოვის უნივერსიტეტის ორდინარული პროფესორი კუპლევსკი იმავე უნივერსიტეტის რექტორად ინიშნება. თავისივე ოხოვნით პროფესორი და რექტორი ხარკოვის უნივერსიტეტისა ლაგერმარკი დათხოვნილ იქმნა რექტორის თანამდებობიგან.

პეტერბურგი. შტრიტტერგის არყის ქარხანაზე, სპირტის დასაწმინდავებელს განყოფილებაში, 28 სექტემბერს, სადილობის დროს, გამოურკვეველი მიზეზით აფეთქება მოხდა. ზარალი 200,000 მანეთია; დაზღვეულია „რუსეთის“ საზოგადოებაში 400.000 მან.

კოპენჰაგენი. როგორც ამბობენ, საბერძნეთის მეფის ძე გიორგი 10 სექტემბრამდე წავა პირდაპირ ათონში, და იქიდამ 3-ის კვირის შემდეგ კრიტში დაბრუნდება.

ლონდონი. სამხედრო მინისტრმა მიჰმართა პარლამენტის წევრს გოვარდ ვინსენს წერილით, რომელშიაც ამბობს: „ჩვენ სამხრეთ აფრიკაში 200,000 კაცი გვყავს და 450 ზარბაზანი გვაქვს, 100.000 კაცზე მეტი კიდევ ეხლა მზადდება ინგლისში და ამიტომ ჩვენთვის ძნელი არ არის კარგად წვიყვანოთ საქმეებიო. თუ კიდევ ახალს ჯარებს მოითხოვენ, ჩვენ დაუყოვნებლივ შევასრულებთ ამ მოთხოვნას. ამ ჟამად ომის თეატრში 69 სხვა-და-სხვა რაზმი ტრიალებს და ყველა კარგად არის შეიარაღებული. მთავრობის უმოქმედობის შესახებ ხმაც არავის ამოეღებაო.“— გიქს ბუჩმა განაცხადა გუშინ ოლდგემში, რომ სამხედრო წესის შემოღება კაპის ახალშენში უთუოდ იმით არის გამოწვეული, რომ კაპის მეამბოხეებს კონტრაბანდით გააქვთ ბურებისათვის სურსათი და სამხედრო იარაღიო.

ტამბოვი. „ტამბოვის უწყებებში“ მოქცეულია ცნობები, რომლებიც მიუღია საგუბერნიო აგრონომს 1200 კორესპონდენტისაგან. გამოაშკარავდა, რომ საერთოდ მოსავალი შუათანაზედ ნაკლებია, შემოდგომის მოსავალი და ბალახი ხომ 1897 წელზე უარესია. კართოფილის მოსავალი ძალიან მცირეა, ორჯელ უარესი 1897 წელზე. კორესპონდენტების აზრით, პური და საქონლისთვის საკვები ბალახების მომეტებულს ნაწილს არ ეყოფა. ბევრგან დიდს გაჭირვებას მოელიან.

ხარკოვი. 28 სექტემბერს სამხედრო სასამართლომ, 13 საათის თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი ციგნების საქმისა: ეფრემ სიზონენკოს, წინად დასჯილ ბრბოს წინამძღოლის კავტუნენკოს ძმას, დობრიაკს, პოლიანსკის პირველს, სკოკს, ბაზარენკოს და სამს ძმას ბელოშენკოს მიუსაჯა შეთქმულებით ძარცვა-ავაზაკობისთვის სიკვდილი ჩამოხრჩობით. კორიაჩენკოს ხელის გამართვისათვის მიუსაჯა—პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა სამის წლით; ფედორენკოს და პოლიანსკის მეორეს, რადგანაც მათ თავის დროზე არ აცნობეს მთავრობას ავაზაკობის ჩადენა, პირველს წლინახევრით პატიმართ გამასწორებელ რაზმში, ⁄ მეორეს, როგორც მცირე წლოვანს, ერთის წლით ციხეში დაპატიმრება. იაკობ ⁄ ირინე კუჩერენკოვები უდანაშაულოდ იქმნენ ცნობილნი. განაჩენის გამოცხადებას ბრალდებულნი უკმაყოფილოდ მიეგებენენ, უდანაშაულოდ ვისჯებითო, იმათმა ნათესავებმა ტირილი დაიწყეს. გამართლებული კუჩერენკოები ჩაუცვივდნენ ფეხქვეშ მოსამართლეებს და თან ტიროდნენ, თან პირჯვარს იწერდნენ. ამ სურათმა საზოგადოება დიდად ააღელვა. ირინე კუჩერენკოს მახლობლად ორი იმისი პატარა შვილი იდგა. გამართლებულების სასარგებლოდ ფული მოკრიფეს. სასამართლომ თავდებობით გაანთავისუფლა ყველა დამნაშავედ ცნობილნი, იმათ ვარდა, რომლებსაც სიკვდილი მიუსაჯა. სასამართლომ კერძო დადგენილება შეადგინა სიკვდილით დასასჯელთა ბედის შესამსუბუქებლად; ეს დადგენილება განაჩენთან ერთად დასამტკიცებლად წარედგინება ჯარის უფროსს.

პარიჟი. ოქტომბრის შუა რიცხვებში ვენაში საბერძნეთის მეფე და იმპერატორი ფრანც-იოსები ერთმანეთს ჰნახვენ. „Temps“-ი ამბობს, დიპლომატიურს სფერებში ამ დარბაზობას დიდს მნიშვნელობას აძლევენ, რადგანაც ბალკანეთის საქმეების გამო სახელმწიფოების ბანაკებად დაყოფაში ამას დიდი გავლენა ექნებაო.—მინისტრი დელკასსე გუშინ ბიუჯეტო კომისიაში იყო და მოითხოვა განახლება იმ სუბსიდიისა, რომელიც ეძლეოდა რელიგიურ დაწესებულებებს აღმოსავლეთში და შორეულს აღმოსავლეთში. კომისიამ უარი უთხრა.

კარაკასი. კვირას, ერთმა რაზმმა ვენეცუელის პოლოციის წევრებისამ, რომელთაც არავითარი გარეგანი ნიშანი არა ჰქონდათ პოლიციის მოხელეობისა, განიძრახა პუერტო-კაბელლაში გერმანიის კრეისრის „ვინეტის“ ორი უნტერ-ოფიცრის დაჭერა; უნტერ-ოფიცრებმა, რომლებიც არავითარს დანაშაულობას არ ჰგრძნობდნენ, იარაღი იხმარეს; იარაღი, სახელდობრ ხმლები, ისევ პოლიციელებს გამოსტაცეს ხელიდამ. ბოლოს მაინც ძლეულ იქმნენ და წაიყვანეს ჭრილობების შესახვევად გერმანიის გემზე, რომელიც იქ მახლობლად იყო გაჩერებული. გზაზე უნტერ-ოფიცრებს ხელ-ახლა დაატყდა თავს ბრბო; ამ ბრბოში, სხვათა შორის, იყვნენ პოლიციის მოხელენი დასაბაჟოს დარაჯნი; რამდენჯერმე თოფი ისროლეს კიდეც. გემის „ვინეტის“ კომანდირმა საშველად 30 კაცი გამოგზავნა. ადგილობრივმა მთავრობამ საჩივარი შეიტანა გერმანიის წარმომადგენელთან საზღვრების დარღვევის გამო. საჩივარი საქმის მდგომარეობის აღწერით წარდგენილი იქმნება გერმანელების თხოვნასთან ერთად დამნაშავეთა დასჯისა და ზარალის გადახდევინების შესახებ.

29 სექტემბერი.

ბუდაპეშტი. გამოირკვა არჩევნის რეზულტატები ყველა 413-ს საარჩევნო ოლქში. არჩეულია 263 ლიბერალი, 20 „ნაროდნიკი“, 75 კომუტის ფრაქციის წევრი, 11 უგრონის ფრაქციის წევრი, 13 პარტიათა გარეშე მყოფი, 5 წარმომადგენელი ცალკე ერებისა და ერთი დემოკრატი. ხელმეორეთ არ არჩევია 25.

პუატიე. გამასწორებელმა სასამართლომ მარსელ მონიეს ერთის წლითა და სამის თვით ციხეში და პატიმრება მიუსაჯა. საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება ამ განაჩენს.

კონსტანტინეპოლი. რუსეთის ელჩი ზინოვიევი მიიღო სულთანმა აუდიენციაზე.

ბომბეი. პეშავერში მიიღეს ბრძანება ორი მინდვრის ლაზარეთის მობილიზაციის შესახებ.

ბერლინი. გაზ. „კურსის“ სიტყვით, 1864 და 1866 წლის მომგებიან სესხის ქაღალდებს 28 სექტემბერს 30—50 პროცენტით უნდა დაეწია. ამის მიზეზად პეტერბურგის ბირჟას სთვლიან.

კაპშტადტი. კაპის ახალშენის გუბერნატორმა გამოსცა პროკლამაცია რომლითაც აცხადებს, რომ ოლქებში ელიოტიკსა ლანტას, ტემბულიენს, მაკლირს, მოუნტას, ფელეჩრს, მატალიელს და აღმოსავლეთს გრიკულანდში ისეთივე წესია. შემოღებული, როგორც იმ ოლქებში, სადაც სამხედრო მმართველობის წესია შემოღებული, იმ განსხვავებით, რომ აქ მმართველობა სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელში იქნება.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 1901 წლის 2 ოქტომბერს, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქუჩის ნაპირების მოკირწყვლა: 1) არსენალის გზა-ტაეცილზე, 800 ოთხ-კუთხი საჟენზე; 2) ლაზარევის ქუჩაზე, 300 ოთხ-კუთხ საჟენზე; 3) კახეთის გზა-ტაეცილზე, 800 ოთხ-კუთხ საჟენზე; 4) რკინის გზის ლიანდაგიდგან კატეროვისა და ანტონიევის ქუჩების კუთხემდე, 315 ოთხ-კუთხ საჟენზე; სულ სამუშაო 5500 მანეთისაა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობანი გამგეობის ამშენებელ კანყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—3)

მისაღები ეგზამენები

თბილისის საბიდოსნო შკოლაში დანიშნულია 27 და 29 ოკტომბრისათვის.

(3—211—3)

საოფთეაქო საქონლთ მოვაჭრე

ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

ᲤᲝᲡᲢᲘᲡ № 174.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და საღოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც (აიბარონ) რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშიც გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ —провизору Алхазову.

(100—43—95)

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენმა სავაჭრო ფირმამ საზღვარ-გარეთიდგან მიიღო მრავალი ხელისა და ფეხის საკერავი მაშინა სხვა-და-სხვა ფაბრიკებისაგან. ჩვენი სავაჭრო ფირმა პირიანად ჰყიდის სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებისა, ამასთან მყიდველს დაეთმობა მაშინა მომეტებულ პროცენტით, ვიდრე სხვაგან სადმე ტფილისში რისთვისაც ყველა მაშინის შეძენის მსურველს ვთხოვთ მობძანდეს და დარწმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენელი:

გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა, № მაღაზიისა 52 და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯემუხაძე, ტელეფონი 756.

(25—163—14)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Сентября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჯავჯავაძე.